საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000053390913620

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ **11** **04 / მარტი / 2020 წ.**

განკარგულება

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ბორბლიანი ექსკავატორის კამაცუ PW 160-7-ის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში დამტკიცებისა და ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის, პირველი პუნქტის „ე. გ“ და „ე. დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების, 35-ე მუხლისა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების, შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს, **საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში,** ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, **ბორბლიანი ექსკავატორის კამაცუ PW 160-7**, სარეგისტრაციო მოწმობის N AV0364358. გამოშვების წელი 2007, ძრავის N 21733478.

2. დამტკიცდეს:

ბორბლიანი ექსკავატორის კამაცუ PW 160-7, სარეგისტრაციო მოწმობის N AV0364358. გამოშვების წელი 2007, ძრავის N 21733478.

- საწყისი საპრივატიზებო საფასური - **150000** (ასორმოცდაათი ათასი) ლარით.

3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, თელავის რაიონულ სასამართლოში(ქ. თელავი, აღმაშენებლის 41).

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

თამარ ყეინიშვილი